ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1193189

ნომერი: AR1206817

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 28.03.2014

გაცნობის თარიღი : 28.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს / ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებული სკვერი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაკა ჩხაიძე პ/ნ 01003010194
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 14 ბ. 53

ორგანიზაცია:
- ზვარე 1961 კოდი: 404928771

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ვინაიდან ღობის განთავსებასთან ერთად ხდება სარეკლამო აბრის მოწყობა, საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად აირჩიოთ "აბრებისა და რეკლამების განთავსება" - ქმედებებში - ახალი მშენებლობა. და გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. ასევე წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე არ იკითხება ღობეზე განთავსებული მცირე ზომის სარეკლამო აბრებზე დატანილი წარწერა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი ისე, რომ სარეკლამო აბრებზე დატანილი წარწერა იყოს კითხვადი, ყველა ზომებისა და მასალის მითითებით (ფოტომონტაჟზე მიწერილია მხოლოდ სიმაღლის ზომა).
2. საჭიროა წარმოადგინოთ ფოტომონტაჟზე დაფიქსირებული საპროექტო ღობის ამაღლებული მეორე ნაწილის მხრიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
3. "ფაილის მიმაგრება"-ს ველში ატვირთეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო ღობის დატანით და მასზე ზომების მითითებით, სასურველია ატვირთულ იქნას ასევე ესკიზური ნახაზები.
4. ვინაიდან ტერიტორიაზე ფიქსირდება ხე–ნარგავები საჭიროა საპროექტო ღობე განთავსდეს არსებული ხე–ნარგავებისგან თავისუფალ ადგილზე, მათი დაზიანების გარეშე, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა დააფიქსიროთ მოთხოვნის ტექსტში.
5. ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "ზვარე 1961", რომლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი არის მოქ. ნუგზარ მამუჭაძე, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ მოქ. მაკა ჩხეიძე, საჭიროა "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველში ატვირთოთ მოქ. ნუგზარ მამუჭაძის მინდობილობა თქვენ სახელზე გაცემული ან აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.